შექმენი შენი ესტაფეტის ჯოხი

ჩვენ არ გვიყვარს ნარჩენები, ამიტომ ჩვენი ესტაფეტის ჯოხი დამზადებულია მეორადი მასალისგან და 100%-ით გადამუშავებადია

ესტაფეტის ჯოხი გზავნილს 7 767 კმ-ის მანძილზე გლაზგოდან შარმ ელ-შეიხამდე გადაიტანს. ის უნდა იყოს საკმაოდ მტკიცე რომ გაუძლოს ყველანაირ ამინდს, ათასობით ადამიანის ხელში უნდა გაიაროს და სავარაუდოდ, დავარდნასაც უნდა გაუძლოს. ამასთანავე უნდა იყოს მსუბუქი და მოსახერხებელი სატარებლად, როგორც სირბილის ისე ველოსიპედით გადაადგილებისას.

ეს დიდი გამოწვევა იყო, მაგრამ 4C Design -ის გუნდმა გლაზგოში დაამზადა უნიკალური ესტაფეტის ჯოხი მარათონისთვის.

მოგიწოდებთ მოიწვიოთ მოსწავლეები ხელნაკეთი მდგრადი ესტაფეტის ჯოხების შესაქმნელად!

შექმენით ესტაფეტის ჯოხი კომპოსტირებადი და გადამუშვებადი მასალებისგან, ასევე დარწმუნდით, რომ მისი გამოყენება სკოლის მარათონის შემდეგაც შესაძლებელი იქნება

საგაკვეთილო აქტივობა

შექმენი ესტაფეტის ჯოხი წრიული ეკონომიკის პრინციპების გამოყენებით

ბუნებით შთაგონებული, წრიული ეკონომიკა არის სისტემა რომელიც არ აწარმოებს ნარჩენს. ყველაფერი რესურსია ჯაჭვის შემდეგი რგოლისთვის. გამოიყენება მხოლოდ ბუნებრივი მასალები, რომელთა ხელახლა გამოყენება და გადამუშავება შესაძლებელია სისტემის მიერ. წყლის წრებრუნვა და საკვები ქსელი სწორედ წრიული ეკონომიკის მაგალითებია.

განიხილეთ ეს კონცეფცია თქვენს მოსწავლეებთან ერთად და სთხოვეთ შექმნან ესტაფეტის ჯოხი ამ იდეების გამოყენებით.

გაითვალისწინეთ...

- გამოიყენეთ მარტივი მასალები, რომლებიც შეიძლება განცალკევდეს და გადამუშავდეს. მაგალითად, შერეული მასალა, როგორიცაა ქაღალდით დაფარული პლასტმასა რთული დასაშლელი და დასამუშავებელია.

- შეარჩიეთ კომპოსტირებადი მასალები (დარწმუნდით, რომ არ შეიცავენ მავნე ქიმიურ ნივთიერებებს) ან მეორადად გამოყენებადი ნივთები.

- დაგეგმეთ რას გააკეთებთ ესტაფეტრის ჯოხით მარათონის შემდეგ. სთხოვეთ მოსწავლეებს მოიფიქრონ ესტაფეტის ჯოხის ალტერნატიული გამოყენება, მაგ. გააკეთეთ გამოფენა, გამოიყენეთ იგი სხვა მარათონებისთვის, გაიტანეთ აუქციონზე რათა მოიძიოთ დამატებითი ფონდები თქვენი პროექტისთვის, გამოიყენეთ როგორც "მიკროფონი" საკლასო დისკუსიებისთვის ან დაანაწევრეთ და ჩააბარეთ გადამამუშავებელ საწარმოში.

ᲒᲐᲐᲖᲘᲐᲠᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲔᲡᲢᲐᲤᲔᲢᲘᲡ ᲯᲝᲮᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠ ᲛᲔᲓᲘᲐᲨᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲝᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘᲗ:

#RunningOutOfTime #GlobalSchoolsActionDay #TheClimateRelay

ᲛᲝᲜᲘᲨᲜᲔᲗ @ClimateRelay ᲓᲐ @fee_global Facebook-ᲖᲔ ᲓᲐ Instagram-ᲖᲔ,
@Climate_Relay ᲓᲐ @FEEInt Twitter-ᲖᲔ